

**თემა 3. ბაზასახადები და საზოგადოებრივი დანახარჯები:  
სახელმწიფო და რესურსების ბანოაშება**


**თემის შესწავლის შემდგომ ოქვენ შეძლებთ:**

- შეაფასოთ პროგრესული და პროპორციული საგადასახადო სისტემები
- იმსჯელოთ დაბეგვრის პრინციპების შესახებ
- შეაფასოთ გადასახადის დაკისრებით გამოწვეული დანაკარგები
- იმსჯელოთ ლაფერის მრუდის, ტიბოუტის (ტიბოს) მოდელისა და „უხილავი ფეხის“ შესახებ

მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ სახელმწიფო დანახარჯი პროდუქტებსა და მომსახურებაზე (განათლებაზე, თავდაცვაზე, პოლიციაზე და სხვა) სახელმწიფო დანახარჯისგან ტრანსფერტულ გადასახედებზე (სოციალური დაზღვევა და სახელმწიფო პენსიები). დანახარჯები პროდუქტებსა და მომსახურებაზე მოიცავს საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც სხვა გარემოებებში შეიძლება კერძო სექტორს გამოყენებინა. ტრანსფერტული გადასახდელები გადასახდების გადამხდელი მომხმარებლების მსყიდველობითურიანობას გადასცემენ მომხმარებლებს ტრანსფერტული გადასახდელების ან დაფინანსების მისაღებად.

საშემოსავლო გადასახადის ზღვრული განაკვეთი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ეროვნული ვალუტის ბოლო პროცენტი, რომელსაც ინდივიდი გამოიმუშავებს. ამის საპირისპიროდ - საშუალო საგადასახადო ნორმა არის მთლიანი შემოსავლის პროცენტი, რასაც სახელმწიფო იღებს საშემოსავლო გადასახადში.

პროგრესულ საგადასახადო სტრუქტურაში საშუალო საგადასახადო ნორმა იზრდება ინდივიდის შემოსავლის დონესთან ერთად. სახელმწიფო პროპორციულად იღებს უფრო მეტს მდიდრებისგან, ვიდრე ლარიბებისგან. რეგრესული საგადასახადო ნორმა მცირდება, როცა შემოსავლის დონე იზრდება, ამ შემთხვევაში სახელმწიფო პროპორციულად ნაკლებს ახდევინებს მდიდრებს. ნახაზი 3.1 აღნერს პროგრესულ საგადასახადო სტრუქტურას.




ნახ. 3.1. პროგრესული საშემოსავლო გადასახადი

საწყის შემოსავალს აღვნიშნავთ ჰორიზონტალურ ლერძზე და გადახდისშემდგომ შემოსავალს ვერტიკალურ ლერძზე.  $OG$  წრფე  $45^\circ$ -იანი დახრილობით არ შეესაბამება გადასახადებს. საწყისი შემოსავალი  $OA$  დაუბეგვრავია. ინდივიდები აწყდებიან  $OBC$  წრფეს, თუ ზღვრული საგადასახადო განაკვეთი დასაბეგრ შემოსავალში მუდმივია. რაც უფრო მაღალია ზღვრული საგადასახადო ნორმა, მით უფრო გადახრილია  $BC$  წრფე დაბეგვრამდე არსებული შემოსავლის აღმნიშვნელი ლერძისკენ.

პროპორციული და პროგრესული გადასახადები, ასევე საშუალო საგადასახადო განაკვეთი მოცე-მულია ნახაზზე 3.2 „ა“, „ბ“ და „გ“<sup>1</sup>. ნახაზზე 3.2 „ა“ გადასახადები შემოსავალზე პროპორციულია, ასე რომ, გადასახადების შეფარდება გადასახადების გადახდის შემდეგ, გადასახადის გადამხდელთა შემო-სავლებზე, შემოსავლების ყველა დონისთვის ერთნაირია.

ნახაზზე 3.2 „ბ“ ნაჩვენებია, რომ  $Y_0$ -ზე ნაკლები თანხა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფალია, და მუდმივი ზღვრული საგადასახადო განაკვეთის პირობებში ამ დონეზე მაღალი შემო-სავლებისთვის გადასახადი პროგრესულია. შესაძლებელია, რომ გადასახადების საშუალო განაკვეთი გაიზარდოს შემოსავლის ზრდასთან ერთად, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 3.1 არსებული *OBDF* ტეხილით.

ნახაზზე 3.2 „გ“ ნაჩვენებია საშუალო საგადასახადო განაკვეთები, რომლებიც „ა“ და „ბ“-ს შეესაბამება.



ნახ. 3.2. „ა“, „ბ“ და „გ“ პროპორციული და პროგრესული გადასახადები

ისტორიიდან ცნობილია, რომ გაერთიანებულ სამეფოში 1978-79 წლებში მილიონერი 83% საგა-დასახადო განაკვეთს იხდიდა ყველა შემოსავალზე, გარდა პირველი 54000 გირვანქისა, 1993-94 წლებ-ში კი - 40%-ს. 1990 წელს უმაღლესი საგადასახადო განაკვეთი ჰოლანდიაში იყო 60%, საფრანგეთში - 57%, გერმანიაში - 53%, იტალიასა და იაპონიაში - 50%. ევროპის ქვეყნებში დღეისათვის საშემოსავლო გადასახადები ძირითადად პროგრესულია, ზოგიერთი ქვეყნის მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენე-ბელი 2016 წლისთვის მოცემულია ცხრილში 3.1.

**დაბეგვრა და სახელმწიფო დანახარჯები.** ისმის შეკითხვა, რატომ ჩაეხა სახელმწიფო უშუალოდ თავდაცვის, სკოლებისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში? როგორი უნდა იყოს თითოეული მათგანის უზრუნველყოფა? იქნებ უფრო სწორია, რომ ეს საქმიანობა ისევე უზრუნველყოს კერძო სექტორმა, როგორც თმის ვარცხნილობის მოწესრიგება და მანქანების გამოშვება? საზოგადოდ, სახელმწიფო დანახარჯების უმეტესობა დაფინანსებულია დაბეგვრის საშუალებით. ყველაზე მნიშვნელოვანია საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). რადგან პენსიის სახელმწიფო ასიგურება შედის ტრანსფერტული გადასახდელების დანახარჯებში, საპენსიო შენატანები ეროვნული დაზღვევის სისტემაში უნდა შევიდეს შემოსავლის სახით.

<sup>1</sup> ფიშერი ს., დორნბუში რ., შმაღლენზი შ., ეკონომიკა, ტ. II, თარგმანი ინგლ., თბ., 1997, გვ. 483.

**ცხრილი 3.1. დაუბეგრავი მინიმუმი, საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი და ზღვრული თანხები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში 2017 წელს<sup>2</sup>**

ქვეყანა	დაუბეგრავი მინიმუმი (დღ) ან გადასახადის მინიმალური დონე (გმდ)	საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი და ზღვრული თანხა
ავსტრია	11000€	50% 90000€ -ზე მეტი შემოსავლისთვის, და 2020 წლის ბოლომდე 55% 1 მლნ ევროზე მეტ შემოსავლზე
გერმანია	8354 € (დაუბეგრ. მინიმუმი)	45% 250731 € -ზე მეტი შემოსავლისთვის
ნიდერლანდები	19882 € 33% (გად. მინ. დონე)	52% 57585 € -ზე მეტი შემოსავლისთვის
საფრანგეთი	5963 € (დღ)	41% 70830 €-ზე მეტი შემოსავლისთვის
ესპანეთი	5150 € (დღ)	45% €300,000.20-ზე მეტი შემოსავლისთვის
იტალია	15000 € - 23% (გმდ)	43% 75000€ -ზე მეტი შემოსავლისთვის
გერმანიანებული სამეფო	£11,500 (დღ)	45% £150,000-ზე მეტი შემოსავლისთვის
ფინეთი	13000 € 25% (გად. მინ. დონე)	65% 127000 €-ზე მეტი შემოსავლისთვის

ამ ფონზე ვიწყებთ სახელმწიფო დანახარჯების მიზეზების განხილვას, შემდეგ კი ვიკითხავთ, თუ - როგორ უნდა დაფინანსდეს ეს დანახარჯი. ეს გადასახადები ადამიანთა კეთილდღეობისთვისაა თუ კეთილდღეობის საზიანოდ? პასუხი დამოკიდებულია ეფექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებზე.

ერთი ადამიანის მიერ გამოყენებული ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტი (Private Good)<sup>3</sup> არ შეიძლება მეორე ადამიანმა მოიხმაროს. ნაყინი არის ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტი. თუ თქვენ ნაყინს მიირთმევთ, სხვა ამავე ნაყინს ვერ დააგემოვნება. ნაყინის ნებისმიერი რაოდენობის მიწოდებისას, თქვენგან მისი გამოყენება ამცირებს სხვებისათვის მოსახმარ რაოდენობას. პროდუქტების უმეტესობა ინდივიდუალური მოხმარებისაა (ინდივიდუალური პროდუქტი კონკურენტული და გამორიცხვადი). ფეხბურთის მატჩს ბევრი ხალხი ადვენებს თვალყურს, განსაკუთრებით ტელევიზით, ნებისმიერი ინდივიდის მიერ მოხმარებული რაოდენობის შეუმცირებლად; მაგრამ გამონაკლისი შესაძლებელია – სტადიონი იტევს მაყურებელთა გარკვეულ რაოდენობას და კლუბმა შეიძლება უარი თქვას მატჩის ტრანსლაციაზე (აյ ამ პროდუქტის გამორიცხა შეიძლება და ეს პროდუქტი კონკურენტულია სტადიონზე ადგილების შეზღუდულობის გამო).

საზოგადოებრივი პროდუქტი (Public Good)<sup>4</sup> არის ისეთი პროდუქტი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ერთი ადამიანი გამოიყენებს, შეიძლება სხვამაც მოიხმაროს.

სუფთა ჰაერი და თავდაცვა საზოგადოებრივი კეთილდღეობის პროდუქტია. თუ ჰაერი სუფთაა, თქვენს მიერ ჰაერის მოხმარება ხელს არ უშლის სხვის მიერ მის სუნთქვას. თუ თქვენი ეროვნული ფლოტი აკონტროლებს სანაპირო წყლებს, თქვენეული მოხმარება არ გვიშლის ხელს ჩვენმა ეროვნულმა თავდაცვამაც იგივე მოიმოქმედოს. სინამდვილეში წმინდა საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ყველამ ცალ-ცალკე აუცილებლად უნდა მოვიხმაროთ მოსახმარი პროდუქტის მთლიანი რაოდენობის ნაწილი. თუ ჩვენ ყველანი ერთსა და იმავე რაოდენობის პროდუქტს მოვიხმართ, სარგებელი მაინც განსხვავებული ოდენობის იქნება ჩვენი განსხვავებული გემოვნების მიხედვით.

**საზოგადოებრივი დოვლათის მთავარი ასპექტებია:** პირველი, ტექნიკურად შესაძლებელია, რომ ერთმა ადამიანმა ეს პროდუქტი მოიხმაროს ისე, რომ არ შეამციროს სხვისი კუთვნილი რაოდენობა

<sup>2</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Income\\_tax\\_in\\_European\\_countries#France](http://en.wikipedia.org/wiki/Income_tax_in_European_countries#France)

<sup>3</sup> ეს ტერმინი სხვაგან შეიძლება შეგხვდეთ, როგორც კერძო დოვლათი, მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლენიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 420.

<sup>4</sup> ეს ტერმინი შეიძლება შეგხვდეთ, როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, მაგალითად დასახელებული ნაშრომი, გვ. 419.

(არაკონკურენტულია), და მეორე, შეუძლებელია ვინმე გამორიცხო მოხმარებიდან, თუ პროდუქტის მოხმარებას მაღალი ხარჯები არ ახლავს (ფამოურიცხვია). მაგალითად, როცა ცალკეული პიროვნებების გამორიცხვა მოხმარებიდან შეუძლებელია, როგორც ეს იყო ეროვნული თავდაცვის ფლოტის მაგალითთან დაკავშირებით.

**ფრი-რაიდერები.** ჩვენ უკვე განვიხილეთ ფრი-რაიდერების პრობლემა, როცა ვკამათობდით იმაზე, თუ რატომ არ შეიძლება პიროვნების მოსყიდვა და გარე ეფექტების კომპენსაცია. საზოგადოებრივი კეთილდღეობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა ფრი-რაიდერების პრობლემებისადმი, თუ მათ ამარაგებს კერძო სექტორი. რადგანაც თქვენც ეროვნული თავდაცვის იმავე რაოდენობით სარგებლობთ, რითაც სხვები, ფულიც რომ გადაიხადოთ, თქვენ ვერასოდეს დაისაკუთრებთ ეროვნულ თავდაცვას თქვენთვის ე.ი. კერძო სექტორში.

საზოგადოებრივი პროდუქტი ძლიერ წააგავს გარე ეფექტს. თუ მოახერხებთ და თავდაცვას პირადად შეიძენთ, ამით სხვებიც ისარგებლებენ, რადგან ამ პირობებში ზღვრული კერძო და ზღვრული საზოგადოებრივი სარგებლი განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძო ბაზრები არ აწარმოებენ თავდაცვის საზოგადოებრივად ეფექტიან რაოდენობას, ამიტომ ამ სფეროში სახელმწიფოს უწინდება შესაძლებლობა, თავისი ჩარევით გათანაბროს ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯი და ზღვრული საზოგადოებრივი სარგებლები.


**ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელი.** დავუშვათ, საზოგადოებრივი პროდუქტი არის წყლის ერთობლივი მარაგის სისუფთავე. რაც უფრო ინფიცირებულია წყალი, მით უფრო მეტი დაავადდება ქოლერით ან სხვა ეპიდემიური სწეულებით. ნახაზზე 3.3. ნაჩვენებია ორი ადამიანის მაგალითი. პირველისთვის სუფთა წყალზე მოთხოვნის მრუდი არის  $D_1$ . მოთხოვნის მრუდის თითოეული წერტილი გამოსახავს იმ თანხას, თუ რამდენს გადაიხდიდა ეს პიროვნება უფრო სუფთა წყლის ბოლო ერთეულში. ის გვიჩვენებს ზღვრულ (კერძო) სარგებელს ამ პიროვნებისათვის.  $D_2$  გვიჩვენებს უფრო სუფთა წყლის ზღვრულ (კერძო) სარგებელს მეორე პიროვნებისათვის.

**$D$  მრუდი** კი უფრო სუფთა წყლის ზღვრული საზოგადოებრივი სარგებლის გამომხატველია. საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის გამოშვების თითოეულ დონეზე ვერტიკალურად შევკრებთ ცალკეული პიროვნების ზღვრულ სარგებელს საზოგადოებრივი ზღვრული სარგებლის მისაღებად. ამგვარად,  $Q$  გამოშვების დროს საზოგადოებრივი ზღვრული სარგებელი არის  $P = P_1 + P_2$ . ჩვენ ვერტიკალურად ავთვლით მოცემულ რაოდენობას, რადგან ყველა მოხმარს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ერთსა და იმავე ნაწილს.

ნახაზზე 3.3 გვიჩვენებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზღვრულ დანახარჯს. თუ არ იარსებებდა წარმოების გარე ეფექტები, ზღვრული კერძო სარგებელი და ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯები ერთმენთს დაემთხვევოდა. საზოგადოებრივი პროდუქტის ეფექტიანი გამოშვება იქნებოდა  $Q^*$ , სადაც საზოგადოებრივი ზღვრული სარგებელი უტოლდება საზოგადოების ზღვრულ დანახარჯს ( $P^* = Q^*$ ).

რა მოხდებოდა ეს პროდუქტი კერძო ფირმებს რომ ენარმოებინა და გაეყიდა? პირველ პიროვნებას შეეძლო გადაეხადა  $P_1$ , კონკურენტული მიმნოდებლის მიერ წარმოებულ  $Q$  რაოდენობაში ზღვრული დანახარჯებით.  $Q$  გამოშვების დროს  $P_1$  ფასი უდრის ზღვრულ კერძო სარგებელს, რასაც პირველი პიროვნება საზოგადოებრივი პროდუქტის ბოლო ერთეულიდან იღებს. მეორე პიროვნება გადაიხდის თუ არა საზოგადოებრივი პროდუქტის  $Q$ -ზე მეტად გაზრდილი გამოშვების შესაძენად? არა, რადგან ესაა საზოგადოებრივი პროდუქტი. მეორე პიროვნება არ შეიძლება გამოირცხოს  $Q$  გამოშვების მოხმარებიდან, რაც პირველმა პიროვნებამ უკვე განახორციელა. მაგრამ  $Q$  გამოშვების დროს მეორე პიროვნების ზღვრული კერძო სარგებელი არის მხოლოდ  $P_2$ , რომელიც  $P_1$  ფასზე ნაკლებია. მეორე პიროვნება არ გადაიხდის უფრო მაღალ ფასს იმისთვის, რომ წააქეზოს კონკურენტული მიმნოდებელი, გააფართოოს წარმოება  $Q$ -ზე მეტად. მეორე პიროვნება არის ფრი-რაიდერი, რომელიც პირველი პიროვნების  $Q$  შეს-

ყიდვით სარგებლობს. მთლიანი რაოდენობა კერძოდ წარმოებულ და მოხმარებულ კონკურენტულ ბაზარზე არის საზოგადოებრივად ეფექტიან  $Q^*$  რაოდენობაზე ნაკლები.



**უპირატესობის გამომჟღავნება.** საზოგადოებრივი ზღვრული სარგებლის  $D$  მრუდის აგებით სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს რა რაოდენობის საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაა ეფექტიანი. მაგრამ როგორ განსაზღვრავს სახელმწიფო ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდებს, რომლებიც ვერტიკალურად მიემართება  $D$ -სკენ? თუ პროდუქტზე ხალხის გადასახადები დაკავშირებულია მათი ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდებთან, ყველას უჩნდება სურვილი იცრუოს ფრი-რაიდერების მსგავსად. ხალხი შეამცირებს პროდუქტის ღირებულებას, რათა შეამციროს თავისი საკუთარი გადასახადები სწორედ ისე, როგორც კერძო ბაზარზე.

**სახელმწიფო წარმოება.** ეკონომისტის მიერ საზოგადოებრივი პროდუქტის განსაზღვრა ეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ყველა ერთსა და იმავე რაოდენობას მოიხმარს. ფრი-რაიდერის პრობლემა მოითხოვს, რომ ბაზრებმა ანარმონოს საზოგადოებრივად ეფექტიანი დონე. გამართლებულია მთავრობის ჩარევა, რითაც უნდა გადაწყდეს — რამდენი ანარმონ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვით მთავრობამ უნდა ანარმონოს პროდუქტი. ეს აუცილებელი არ არის.

ეროვნული თავდაცვა არის საზოგადოებრივი პროდუქტი და ინარმოება საზოგადოებრივ ან სახელმწიფო სექტორში. მეორე მხრივ, ქუჩის დასუფთავება, თუმცა საზოგადოებრივი პროდუქტია, შეიძლება კონტრაქტით გადაეცეს კერძო მწარმოებელს, მაშინაც კი, თუ ადგილობრივი მმართველობა განსაზღვრავს მის რაოდენობას და გადაიხდის მისთვის ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლიდან.

საზოგადოებრივ პროდუქტის საზოგადოებრივმა სექტორმა უნდა მიხედოს. ნინაალმდეგ შემთხვევაში ის დამოკიდებული აღმოჩნდება არა პროდუქტის მოხმარების მახასიათებლებზე, რასაც ეყრდნობა საზოგადოებრივი პროდუქტის ჩვენეული გაგება, არამედ პროდუქტის წარმოების მახასიათებლებზე. არაფერია განსაკუთრებული ქუჩის დასუფთავებაში, ის შეიძლება ერთნაირად მარტივად ანარმონონ საზოგადოებრივმა ან კერძო სექტორში. ამის საპირისპიროდ, არმია და ფლოტი ეყრდნობა დისციპლინასა და საიდუმლოს შენახვის პრინციპს. გენერლებსა და ადმირალებს სჯერათ და სავარაუდოდ საზოგადოებაც ეთანხმება, რომ ამ წესების დარღვევა იმსახურებს უჩვეულო სასჯელს, რაც კერძო ფირმებში საერთოდ არ არის დაშვებული. ალბათ, ცოტას ჰგონია, რომ დაუმორჩილებლობა დიდი დანაშაული არ არის დამსუფთავებლებისთვის მაშინ, როცა სამხედრო პირებისათვის ასეთი რამ თითქმის დაუშვებელია. ჯარისკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია იყვნენ საზოგადოებრივ სექტორში, ვიდრე ქუჩის დამსუფთავებლისათვის.

**ტრანსფერტული გადასახდელები და შემოსავლის გადანაწილება.** სახელმწიფო ხარჯავს თანხებს საზოგადოებრივ პროდუქტზე, რადგან წარმოიქმნება სირთულეები, როცა საზოგადოებრივი პროდუქტი კერძო ბაზრების კუთვნილებად რჩება. მთავრობის ამ ჩარევის მოტივაცია საზოგადოებრივი ეფექტიანობაა. ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო ხარჯები ტრანსფერტულ გადასახდელებზე უპირველესად

ეხება თანასწორობას და ამის მიხედვით შემოსავლის განაწილებას. უმუშევრებზე, მოხუცებსა და ლარიბებზე ფულის დახარჯვით სახელმწიფო ცდილობს დარწმუნდეს, რომ შემოსავლისა და პროდუქტის ხელახალი განაწილება, რასაც მთლიანად თავისუფალი ბაზარი ანარმოებდა, შემცირებულია. არის ცხოვრების დონის მინიმუმი, რომლის ქვევით მოქალაქე ვერ დავა. ამ სტანდარტის ტექნიკური პირობები წმინდა ღირებულებითი შეფასებაა.

საიდან მოდის ფული, რომელიც ლარიბებისა და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფთათვის უნდა გადაიხადოს სახელმწიფომ? უპირველესად იმათგან, ვისაც ეს გარდაუვალად მიაჩნია. შემოსავალზე მზარდი ზღვრული საგადასახადო განაკვეთი გარანტიას იძლევა, რომ ყოველი ინდივიდის საშუალო საგადასახადო ნორმა გადასახადებში გადახდილი მთლიანი შემოსავლის პროპორციულად იზრდება შემოსავალთან ერთად. მთლიანად საგადასახადო და ტრანსფერტული სისტემა ფულს იღებს მდიდრებისგან და აძლევს ლარიბებს. ლარიბები იღებენ არა უმუალოდ ფინანსურ ტრანსფერტს, ტრანსფერტული გადასახდელების სახით, როგორიცაა დამატებითი სარგებელი, არამედ საზოგადოებრივი საქონლის მოხმარებით, რაც გადახდილ იქნა მდიდრებისაგან აღებული საშემოსავლო გადასახადის სახით.

შესასრულებელი განაწილების რაოდენობა მხოლოდ წმინდა ღირებულების შეფასება კი არ არის, რასაც სხვადასხვა ინდივიდები და პოლიტიკური პარტიები არ ეთანხმებიან, არამედ არის გარდაუვალი წინააღმდეგობა ეფექტიანობისა და სამართლიანობის კონკრეტულ ამოცანებს შორის. უფრო მეტის გასანაწილებლად სახელმწიფოს მოუხდება საგადასახადო განაკვეთის გაზრდა, რისთვისაც უნდა გაავლოს უფრო დიდი ზღვარი მყიდველის მიერ გადახდილ ფასსა და გამყიდველის მიერ საქონელსა და მომსახურებაზე მიღებულ ფასს შორის.

**ვარგისი (Merit Goods)** (ან დაბალხარისხიანი - *Bads*) პროდუქტი არის ისეთი პროდუქტი, რომელიც საზოგადოების აზრით ყველას უნდა ჰქონდეს (ან არ უნდა ჰქონდეს) იმის მიუხედავად, სურს თუ არა ის თითოეულ ინდივიდს.

**ვარგისი (ნორმალური)** პროდუქტის მაგალითებია: განათლება და ჯანდაცვა, უვარგისი საქონლის მაგალითებია სიგარეტი. რადგან საზოგადოება სხვა ადგილს ანიჭებს ამ საქონელს, ვიდრე ინდივიდი, ინდივიდის არჩევანი თავისუფალ ბაზარზე განაპირობებს უფრო განსხვავებულ განთავსებას, ვიდრე ეს საზოგადოების სურვილია.

ვარგისი პროდუქტის შესახებ ორი გარკვეული მოსაზრება არსებობს. ერთი არის გარე ეფექტის არგუმენტის ვერსია, რომელიც წინა თავში განვიხილეთ. თუ მეტი ცოდნა აამაღლებს არა მარტო ერთი დასაქმებული მუშის, არამედ ყველა სხვა ასეთივე მუშის მნარმოებლურობას, მაშინ იგი წარმოების გარე ეფექტია. ამას ინდივიდი მხედველობაში არ იღებს იმის არჩევის დროს, თუ რა ცოდნა უნდა შეიძინოს. თუ ინდივიდები კმაყოფილდებიან მწირი ცოდნით, საზოგადოებამ უნდა წაახალისოს ცოდნის დაგროვების მსურველი პიროვნებები. უფასო განათლება ცოდნის, კომუნიკაციისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მინიმუმის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

ვარგისი პროდუქტის მეორე პრობლემური ასპექტის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება მიხვდა - თავად ინდივიდები თავისივე ინტერესებისათვის აღარ მოქმედებენ: იღებენ ნარკოტიკებს, ენევიან თამბაქოს, მისდევენ აზარტულ თამაშს. **მთავრობის ჩარევა გულისხმობს უფრო იმას, რომ უთხრას ხალხს, რა უნდა მოეწონოთ, ვიდრე იმის უზრუნველყოფა, რომ უკეთ მიაღწიონ იმას, რაც უკვე მოსწონთ.** ამის საშუალება მთავრობას აქვს. ამგვარად, მთავრობას შეუძლია დაახარჯოს ფული აუცილებელ სწავლაზე ან აუცილებელ აცრაზე, რათა არც ინდივიდს და არც თვით სახელმწიფოს სხვაგვარად მოქცევა მომავალში სანახებლად არ გაუხდეს.

#### დაბეგვრის პრინციპები

დავიწყოთ ფაქტებით, რომლებიც გადასახადებს შეეხება. ხელისუფლების ორგანოები შეერთებულ შტატებში - ფედერალური მთავრობა, შტატების ხელისუფლება და ადგილობრივი ორგანოები - გადასახადების სახით კრეფენ ეეპ-ის თითქმის 1/3 თანხას.

სახელმწიფო შემოსავლების სამი მთავარი წყაროა: პირადი საშემოსავლო გადასახადი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები და ასევე სააქციზო მოსაკრებლები და გაყიდვის გადასახდელი.

სახელმწიფო შემოსავლების 1/4-ზე მეტი სოციალური დაზღვევის გადასახდელებიდან შემოდის. ეს გადასახდელები ის ანარიცხებია, რომლებიც მის მწარმოებლებს უფლებას აძლევს მიიღონ პენსია და შრომისუნარობის დახმარება. იმის გამო, რომ გადასახდელები სოციალური დაზღვევის სისტემაში ნებაყოფლობითი არაა, ისინი შეიძლება უფრო მეტად გადასახდებს მივაკუთვნოთ, ვიდრე სადაზღვევო შენატანებს. სოციალური დაზღვევის სისტემის სავალდებულობა იმ გარემოებით საბუთდება, რომ ზოგიერთი ადამიანი წინდაუხედავია და არ ითვალისწინებს, რომ საკუთარი საჭიროებები უზრუნველყოს მოხუცებულობის ან შრომის უუნარობის შემთხვევაში.

გაყიდვის გადასახდელი და სააქციზო მოსაკრებლები, რომლებიც თავისი დანიშნულებით მეორე ადგილზეა, განსაზღვრულ პროდუქტთა გაყიდვიდან ამოსაღები გადასახდელებია. ფედერალურ დონეზე აქციზები არსებობს ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოს ნაწარმზე, ასევე ავტომანქანებზე, ტელეფონით საუბრებსა და ავიაბილეთებზე. შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების დონეზე შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა გაყიდვის გადასახდელი (ამასთან ზოგიერთი პროდუქტი ამისაგან თავისუფლდება).

**დამატებული დირებულის გადასახადი.** აშშ-ში პრაქტიკაში არ არის დამატებული ლირებულების გადასახადი (დღგ), რაც სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპულში. დღგ ჩვეულებრივი საცალო ვაჭრობის გადასახადის ექვივალენტურია, რაც ამოილება საერთო განაკვეთით, ეკონომიკაში გაყიდული ყველა პროდუქტიდან. დღგ ამოილება წარმოების ყველა სტადიაზე. გადასახადით დაბეგვრას დაქვემდებარებული თანხა გასაყიდი ფასის ტოლი არაა და მხოლოდ მის დამატებულ ლირებულებას წარმოადგენს. ე.ი. გაყიდვის ფასის ტოლია, წარმოების ფაქტორთა შეძენის ხარჯების გამოკლებით, ამრიგად, ავტომანქანის მწარმოებელი, რომელიც იძენს ფოლადს და საბურავებს სხვა ფირმებისაგან, იხდის დამატებული ლირებულების გადასახადს, რითაც იძეგრება გაყიდული ავტომანქანების ლირებულება, ფოლადისა და საბურავების წარმოებაში გამოყენებული ლირებულების გამოკლებით. ავტომანქანებით მოვაჭრე ფირმა, თავის მხრივ იხდის გადასახადს გაყიდვათა ლირებულებიდან, რაც შემცირებულია ამ ავტომანქანების მწარმოებლების მიერ გადახდილი თანხით. ყოველ სტადიაზე გადასახადების შეკრებით ადვილად შეიძლება დავინახოთ, რომ დამატებული ლირებულების ჯამური თანხა სხვა არაფერია, თუ არა გადასახდელი უშუალოდ საცალო ვაჭრობა ზე.

**გადასახადით დაბეგვრის პრინციპები.** არსებული და წარმოსახვითი გადასახადებიდან რომელი უნდა შეარჩიოს სახელმწიფომ თავის საჭიროებათა დასაფინანსებლად? პირველი კრიტერიუმის სახით გამოდის სამართლიანობა, ანუ თანასწორობა, მეორის სახით - ეფექტიანობა. ეფექტიანია გადასახადები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანენ თავისი ფუნქციონირების არახელსაყრელ შედეგებს რესურსების განაწილების პროცესზე. შევუდგეთ ამ კრიტერიუმების განხილვას, თუმცა, ცხადია, სამართლიანი და ეფექტიანი გადასახადების განხილვისას ჩვენ არ ვთვლით, რომ რეალური გადასახადები ასეთია.

**სამართლიანი დაბეგვრა.** სახელმწიფო გადასახადები და შემოსავლები გავლენას ახდენენ შემოსავლების განაწილებაზე, ტვირთის, ადამიანთა ერთ ნაწილზე დაკისრების და სხვებისათვის სიკეთის შეთავაზებით. ეკონომისტებს, რომ არაფერი ვთქვათ გადასახადების გადამხდელებზე, დიდი ხანია ანუსებთ საკითხი ამ ტვირთისა და სიკეთის სამართლიანად განაწილების შესახებ. საზოგადოდ მიღებულია ორი ძირითადი ეთიკური პრინციპი.

**პორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს, რომ თანაბარ მდგომარეობაში მყოფი საგადასახადო კანონებით ერთნაირად უნდა განიხილებოდნენ. ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს, რომ არათანაბარ პირობებში მყოფნი, ერთნაირად არ უნდა განიხილებოდნენ.**

დავუშვათ, რესტორნის მესაკუთრის მოგება, ზუსტად დაქირავებული მომუშავის ხელფასის ტოლია. პორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ადამიანმა უნდა გადაიხდოს ერთნაირი სიდიდის გადასახადი. თუ საგადასახადო სისტემა მოგებას ერთი განაკვეთით ბეგ-

რავს, ხოლო ხელფასს მეორეთი, მაშინ ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპის მიხედვით - ვინც მეტს იღებს, მეტი უნდა გადაიხადოს გადასახადის სახით, მაშინაც კი, თუ მისი გამოცხადებული (ე.ი. გადასახადით დაბეგრილი) შემოსავლები რაიმე მიზეზით ხელოვნურად შემცირებულია.

**სახელმწიფო ფინანსების სისტემის ყველაზე უფრო ძველი პრინციპი ისაა, რომ გადასახადები ძირითადში გადახდისუნარიანობას უნდა ემყარებოდეს. სხვა სიტყვებით, ამოღებული გადასახადების თანხა ემყარება შემოსავლების ან სიმდიდრის სიდიდეს. ალტერნატიული მიდგომა ესაა გადასახადით დაბეგვრის ბაზად სახელმწიფოს საქმიანობიდან მიღებულ სარგებლობათა (სიკეთეთა) სიდიდის გამოყენება. ამ პრინციპის განხილვამდე, უნდა ავხსნათ, თუ როგორ განვსაზღვროთ უთანასწორობა.**

**თანასწორობის განსაზღვრა.** ერთადერთი ამოსავალი წერტილია შემდეგი აზრი: საგადასახადო სისტემის მიერ თანასწორთა სახით განიხილება, თანაბარი მიმდინარე შემოსავლის მფლობელები. მაგრამ მიმდინარე შემოსავლები სინამდვილეში არ წარმოადგენს იმის შესაფერის მაჩვენებელს, თუ რამდენად მდიდარია ადამიანი. სტუდენტი-მედიკოსი, რომელსაც იგივე შემოსავალი გააჩნია, როგორც მეეზოვეს, მაინც მდიდარია უკანასკნელზე რადგანაც მეტი თანხა ექნება მთელი სიცოცხლის მანძილზე. შესაძლოა, თანასწორი ინდივიდები ჩვენ უნდა განვსაზღვროთ მათი მთელი სიცოცხლის მანძილზე ჯამური შემოსავლების მიხედვით.

მაშინაც კი, თუ ჩვენ შევძლებთ ჯამური შემოსავლების საიმედო შეფასებას (გარდა სხვა ყველაფრისა, ზოგიერთი სტუდენტი-მედიკოსი ინსტიტუტიდან ირიცხება) რიგი რთული შეკითხვები მაინც დარჩება. განვიხილოთ ორი ადამიანი, რომელთაც ერთნაირი ჯამური შემოსავლები გააჩნიათ. ახლა ორივე პენსიაზე. ერთი ახალაგზრდობაში დანაზოგებს აკეთებდა და ახლა კარგად ცხოვრობს. მეორე, ახალგაზრდობაში კარგად ატარებდა დროს და ახლა ძალზე ღარიბად ცხოვრობს. თანასწორი არიან ისინი? ან განვიხილოთ ორი ადამიანი, რომლებიც ერთ ქარხანაში მუშაობენ, ერთნაირ სამუშაოს ასრულებენ და თანაბარ ანაზღაურებას იღებენ. ერთ-ერთს კმაყოფაზე ხუთი შვილი ყავს. თანასწორი არიან თუ არა ისინი? ეს ეთიკური კითხვებია და, სამწუხაროდ, ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი მსგავს შემთხვევებზე კონკრეტულ პასუხს არ იძლევა. პრაქტიკული საკითხი კანონმდებელთა მიერ წყდება, რომლებიც გადასახადების შესახებ ხმის მიცემისას ჰორიზონტალური სამართლიანობის მსგავს პრინციპებს ემყარება. მაგრამ, ცხადია, მრავალი სხვა პოლიტიკური შეხედულებებიც გააჩნიათ და, გარდა ამისა, მათზე პოლიტიკურ ზეწოლას ახდენენ.

**გადახდისუნარიანობის პრინციპი მიღებული სარგებლობის პრინციპის საპირზონედ.** ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი ხვდება ისეთ პრობლემას, რომელზე შეხედულებაც ძირეულად შორდება ერთმანეთს, სახელდობრ: არათანაბარ პირობებში მყოფნი რანაირად განვიხილოთ ერთნაირად. **გადახდისუნარიანობის პრინციპი ნათლად გამოხატავს შემოსავლების სახელმწიფო განაწილების აუცილებლობის თვალსაზრისს, რამდენადაც ეს პრინციპი ამბობს, რომ სახელმწიფოს მომსახურებათა ანაზღაურება უფრო მეტი უნდა იყოს მოიღონ და ნაკლები ღარიბებისათვის.** მიღებულ სარგებლობათა პრინციპი კი, მოითხოვს ადამიანის მიერ გადახდილის შესაბამისობას მის მიერ მიღებულ სარგებლობასთან. გადასახადით დაბეგვრისადმი დამოკიდებულება მთლიანად ამ პრინციპებს შესაბამება ორი თვალსაზრისით: ერთი თვლიან, რომ შემოსავლების მიმდინარე გადანაწილება მისაღებია, მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ცდილობდეს შემოსავლების გადანაწილებას.

**სამართლიანია თუ არა მიღებულ სარგებლობათა პრინციპი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რაზე იხარჯება სახელმწიფო სახსრები. განვიხილოთ, მაგალითად, მართლწესრიგის შენარჩუნების ხარჯების ანაზღაურება. რამდენადაც დანაშაულობათა დონე ხშირ შემთხვევაში ყველაზე უფრო მაღალია დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებით დასახლებულ რაიონებში, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ღარიბები მეტ სარგებლობას იღებენ წესრიგის დაცვისგან, ვიდრე მდიდრები. გადახდისუნარიანობის პრინციპი გვეუბნება, რომ ღარიბებმა მიუხედავად ამისა, უნდა გადაიხადონ უფრო დაბალი გადასახადები. ხოლო მიღებულ სარგებლობათა პრინციპის შესაბამისად იგულისხმება, რომ მეტ სარგებლობას იღებენ. ამ შემთხვევაში მიღებულ სარგებლობათა პრინციპი ადამიანთა უმეტესობისათვის არასამართლიანი იქ-**

ნება. მაგრამ განვიხილოთ მეორე მაგალითი, სახელდობრ, გზატკეცილების გამოყენება. მრავალი ადამიანი თანახმაა რომ ჩქაროსნული გზების მოსარგებლებმა სხვებზე მეტი უნდა გადაიხადონ მის მშენებლობაზე და ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე. ასეც ხდება, ჩქაროსნული გზების სისტემა ნაწილობრივ ბენზინზე გადასახადით ფინანსდება.

მიღებულ სარგებლობათა პრინციპი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი სიკეთეების მიმართ, რამდენადაც ჩვენ არ ვიცით როგორ გავზომოთ, საზოგადოებრივი სიკეთის სარგებლიანობა ყოველი ადამიანისათვის და ეს პრინციპი შეუთავსებელია სახელმწიფო ტრანსფერტულ გადასახდელებთან. უმუშევრობის დახმარების მიმღებმა სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს თუ არა ამისთვის მიღებული სარგებლის პროპორციულად? თუკი დიახ, მაშინ ტრანსფერტების მიმღებ ადამიანებს იგი სახელმწიფოს უნდა დაებრუნებინათ, რაც ტრანსფერტების არარსებობის ტოლფასი იქნებოდა.

**გადასახადებით დაბეგვრა, ეფექტუანობა და დანაკარგები.** გადასახადით დაბეგვრის მეორე კრიტერიუმია ეფექტიანობა. ის ეხება იმ დანაკარგებს, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ ადამიანები თავს არიდებდნენ მათ გადახდას. საკითხი შემდეგშია: თუ რა ზეგავლენა აქვს საშემოსავლო გადასახადს ეკონომიკაში წარმოებულ სამუშაოთა მოცულობაზე? ლოგიკურია თუ არა ვითიქროთ, რომ გადასახადების გადიდება შეამცირებს მუშაობის სურვილს, რამდენადაც სამუშაოსათვის გადასახადის და გადახდის შემდგომი ანაზღაურება ნაკლებია, ადამიანები მუშაობას დასვენებით შეცვლას ამჯობინებენ?


ნახაზზე 3.4 D მრუდი შრომაზე ერთობლივი მოთხოვნაა, ხოლო S შრომის მიწოდების მრუდია. შრომის მიწოდების მრუდი მიმართულია ზევით და ასახავს იმ დაშვებას, რომ რეალური ხელფასი იზრდება. ასეთ პირობებში მიწოდებული შრომის რაოდენობა მატულობს იმის შდეგად, რომ დასაქმებული ადამიანები მზად არიან მეტი იმუშაონ, და ასევე იმის გამოც, რომ ადრე უმუშევარ ადამიანებსაც სურთ სამუშაოს მოქებნა. თავდაპირველი წონასწორობა E წერტილშია.

ახლა დავუშვათ, რომ მთავრობას შემოაქვს ხელფასის ე.ი. შრომითი შემოსავლების გადასახადი. ყველა მომუშავემ ახლა სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს ყოველი დოლარის 20%. ეს შრომის მიწოდების მრუდს ზევით გადაადგილებს. თუ, თავდაპირველად მენარმეს მაგალითად, მხოლოდ 4\$ ხელფასის გადახდა სჭირდებოდა, მომუშავეებისაგან მოცემული მოცულობის შრომის მისაღებად. ახლა გადასახადის შემოღების შემდეგ, საჭირო გახდება 4,80\$ ხელფასი. გადასახადების გადახდამდე მომუშავეებისათვის წმინდა 4 \$ ჯამაგირისათვის ე.ი. იმ დონეზე შესანარჩუნებლად, რაც აუცილებელია მათგან იმავე მოცულობის შრომის მისაღებად. ანალოგიურად, ვთქვათ, 8 \$ წმინდა ანაზღაურების მისაღებად ხელფასი გადასახადების გადახდამდე, უნდა იყოს 9,6\$ დონეზე. ამრიგად, ხელფასზე, 20%-იანი გადასახადის შემოღება შრომის მიწოდების მრუდს გადაადგილებს ზევით, S'-სკენ ისე, რომ **გადასახადის გადახდის შემდგომი ხელფასი შრომის მიწოდების ყოველი დონისათვის ზუსტად თავდაპირველ მრუდზე არსებული ხელფასის ტოლი დარჩეს.**

ახლი წონასწორობა შრომის ბაზარზე E' წერტილზე დამყარდება. გადასახადის შემოღებამ შეამცირა გამომუშავებული საათების რაოდენობა. მან აამაღლა გადასახადების გადახდამდე ხელფასის დონე W-დან W'-მდე და შეამცირა მისი, გადასახადის გადახდის შედგომი დონე W''-მდე. მანძილი E' და A' შორის გადასახად თანხას ანუ სოლს წარმოადგენს, რომელიც გადასახადით ჩაესობა ფირმისათვის მომუშავის ფასსა და მომუშავის მიერ ერთ დამატებით საათში მიღებულ თანხას შორის.

გადასახადის შემოღების შემდეგ მომუშავეები იმდენივე საათს იმუშავებენ, თუკი მათი გადასახადების კომპენსირება მოხდება, უფრო მაღალი ხელფასის შეთავაზებით. მაგრამ შრომაზე მოთხოვნა ფირმათა მხრიდან ხელფასის უკუპროპორციულია. თუ ხელფასი გაიზრდება, ფირმები არ ისურვებენ საწყისი რაოდენობის შრომის დაქირავებას. ახალი წონასწორობა მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც დასაქმება შემცირდება იმ წერტილამდე, სადაც შრომის ზღვრული მწარმოებლურობა იმდენად გაიზრდება, რომ ფირმები, შრომაზე თავიანთი მოთხოვნის მრუდზე არსებობით, მზად იქნებიან უფრო მაღალი ხელფასი დაანესონ (W'), ვიდრე ადრე (W), ხოლო მომუშავეები, გადასახადის გადახდის შემდეგ ხელ-

ფასის ( $W''$ ) საწყისზე უფრო დაბალი ( $W$ ) ხელფასის დროს ნაკლებს იმუშავებენ, ე.ი. ამჯობინებენ დასასვენებლად მეტი თავისუფალი დროის დატოვებას.



ნახ. 3.4. ხელფასზე გადასახადი

ნახაზზე 3.4 არსებული დაშტრიხული სამკუთხედი  $EE'A'$  წარმოადგენს გადასახადით დაწესებული ნამეტის დანაკარგს, როგორც მომხმარებლებისათვის ისე, მწარმოებლებისათვის. გადასახადი მოქმედებს, როგორც შრომის უარყოფითი სტიმული, ვინაიდან შედეგი შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის შემცირებაა  $L$ -დან  $L'$ -მდე. საერთო დანაკარგები  $EE'A'$  სამკუთხედის ტოლია. მთავრობა გადასახადის სახით ამოიღებს შემოსავალს  $W'E'A'W''$ , რაც მართკუთხედის  $(W' - W'')$   $\times L'$ -ის ტოლია, და ნამუშევარი  $L'$  საათების 1 საათის შრომის ხელფასის სიდიდეზე ნამრავლის ტოლია.

**გადასახადით დაბეგვრის ბრუტო ეფექტი და ეფექტიანი დაბეგვრა.** ნახაზი 3.4 გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო შემოსავლების გადიდება ძვირადლირებული საქმეა. გარდა მომუშავეებზე დანახარჯებისა, რომლებმაც თავიანთი ხელფასი სახელმწიფოსთან უნდა გაიყონ, გადასახადით დაბეგვრას შედეგად წმინდა დანაკარგები მოსდევს, რაც  $A'E'E$  სამკუთხედის ფართობის ტოლია. სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლებს საბოლოო ანგარიშში ვიღაცისათვის სარგებელი მოაქვთ, შესაძლოა, იმავე მომუშავეებისათვისაც, ვინც ამ გადასახადს იხდის. მაგრამ სამკუთხედი წარმოადგენს რესურსების წმინდა დანაკარგებს არასწორი განაწილების შედეგად.

**გადასახადით დაბეგვრის ბრუტო ეფექტი — დანაკარგებია მომხმარებელთა და მწარმოებელთა ნამეტის სახით, რაც წარმოიშობა რესურსების განაწილების პროცესში გადასახადების ზეგავლენით მომხმდარი დამახინჯების გამო.**


დანაკარგების არსებობა მნიშვნელოვანს ხდის საკითხს იმის შესახებ, თუ საგადასახადო სისტემის რომელი პროექტი იქნება უმცირესი დანაკარგების მომტანი. მარტივი, მაგრამ იმავდროულად მნიშვნელოვანი კერძო შემთხვევის განხილვა დაგვეხმარება გადასახადით დაბეგვრის ბრუტო-ეფექტის არსის უკეთ გაგებაში. დავუშვათ შრომის მიწოდება აბსოლუტურად არაელასტიკურია ხელფასის მიხედვით. ამ შემთხვევაში, როგორც ნახაზიდან 3.5 ჩანს, გადასახადის შემოღება ზეგავლენას არ მოახდენს მიწოდებული შრომის საათების რაოდენობაზე და წონასწორობა დარჩება  $E$  წერტილზე. გადასახადისადმი შეგუების მთელი ეფექტი გამოიხატება გადასახადის გადახდის შემდგომი ხელფასის გადაცემაში. მაგრამ, იმის გამო, რომ შრომის მიწოდება რეაგირებას ახდენს ხელფასის სიდიდეზე, ნამუშევარი საათების რაოდენობა სრულებით არ იცვლება. ამ კერძო შემთხვევაში დანაკარგები არ წარმოიშობა, რამდენადაც მომუშავეები მუშაობას განაგრძობენ იგივე საათების განმავლობაში, ხელფასის დონის მიუხედავად. აუცილებელია გავიხსენოთ, რომ შრომის აბსოლუტურად არაელასტიკური მიწოდება ნიშნავს უნიკალური რესურსის მიწოდებას, რომლის შემცვლელის მოძებნა ძალიან რთულია (თითქმის შეუძლებელიც კი)<sup>5</sup>.

<sup>5</sup> გაიხსენეთ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მუსამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 345-346.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ზოგადი პრინციპი: ნებისმიერი გადასახადი ნებისმიერ პროდუქტზე ან ფაქტორზე, რომლის მიწოდებაც (ან მოთხოვნაც) სრულიად არაელასტიკურია, დანაკარგებს არ ქმნის, ვინაიდან ამ შემთხვევაში გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სიდიდე არ შემცირდება. ამ ზოგადი წესის შესაბამისად, გადასახადები კონცენტრირებულ უნდა იქნეს იქ, სადაც ისინი პროდუქტის გამოშვების ყველაზე ნაკლებ შემცირებას იწვევენ.

საგადასახადო შემოსულობათა მოცემული სიდიდის მისაღებად სახელმწიფომ ყველაზე უფრო ეფექტიანად უნდა მოახდინოს გამოშვების გადაცემის მინიმიზირება გადასახადით უპირატესად იმ პროდუქტთა დაბეგვრით, რომელთა მიწოდება და რომლებზე მოთხოვნაც ყველაზე ნაკლებად ელასტიკურია (შედარებით არაელასტიკურია). სიგარეტების და სპირტიანი სასმელების მკაცრი დაბეგვრა, რომლებზე მოთხოვნაც არაელასტიკურია, ამ პრინციპს შეესაბამება. ეს „ცოდვებზე გადასახდელის“ მაგალითია: თვით ცოდვებზე მოთხოვნა, აღბათ ასევე არაელასტიკურია<sup>6</sup>.

სინამდვილეში ვინ ატარებს საგადასახადო ტვირთს? ზოგადად გადასახადის მოქმედება ნაწილდება ბაზრის ორივე მხარეს - მოთხოვანასა და მიწოდებას შორის. გადასახადის უფრო დიდი ნაწილი ტვირთად აწვება იმ მხარეს, რომელიც უფრო ნაკლებად ელასტიკურია<sup>7</sup>.




**ლაფერის მრუდი.** ვთქვათ, ყველა სამთავრობო საგადასახადო შემოსავალი გაიზარდა საშემოსავლო გადასახადის მეშვეობით. ნახაზი 3.6 გვიჩვენებს, რომ ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით მთავრობა გაზრდის ნულოვან შემოსავალს. სრულიად საწინააღმდეგოდ, 100%-იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით წარმოება არ იმუშავებს და საგადასახადო შემოსავალი ისევ ნული იქნება. დაწყებული ნულოვანით საგადასახადო განაკვეთში მცირე ზრდა ზოგიერთ საგადასახადო შემოსავალს გაზრდის. დასაწყისში შემოსავალი იზრდება საგადასახადო განაკვეთთან ერთად, მაგრამ  $t^*$  საგადასახადო განაკვეთზე ზემოთ უფრო მაღალ გადასახადებს აქვთ უკუეფექტი მოცულობაზე და შემოსავალი შემცირებას იწყებს.

ლაფერის აზრით „დიდმთავრობიანი და დიდგადასახადებიანი“ ქვეყნები ახლა დგანან  $t^*$  საგადასახადო განაკვეთზე მაღლა. თუ ასეა, გადასახადების შემცირება სასწაულმოქმედ მკურნალად უნდა მივიჩნიოთ. მთავრობა სინამდვილეში აიღებს მეტ შემოსავალს გადასახადების შემცირებით. საგადასახადო სიმახინჯების შემცირებით, სამუშაოს რაოდენობის დიდად გაზრდით უფრო დაბალი გადასახადები კომპენსირებული იქნება ჭარბი მუშაობით და შემოსავლით, რისთვისაც საგადასახადო განაკვეთი შემოიღეს.

<sup>6</sup> ეკონომიკა - ს. ფიშერი, რ. დორნბუში, შ. შმალენზი, ტ. II, თარგმანი ინგლ., თბ., 1997, გვ.492.

<sup>7</sup> ვაიხსენეთ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეოშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 59-61.



**ადგილობრივი ხელისუფლება.** ადგილობრივი ხელისუფლების დანახარჯები ბევრისმომცველია - ქუჩის დასუფთავებიდან დაწყებული სკოლებით დამთავრებული. თავის მხრივ ეს უნდა დაფინანსდეს გადასახადებით. დაბოლოს, ადგილობრივი ხელისუფლება პასუხს აგებს რეგულირების ზოგიერთ სახეობაზე, მაგალითად, მიწათსარებლობაზე ან ზონალურ კანონებზე (მთის კანონი და სხვა).

#### ეკონომიკური პრინციპები

რატომ არ ვაძებებთ ცენტრალურ ხელისუფლებას, ყველაფერზე იყოს პასუხისმგებელი? ჯერ ერთი, მნიშვნელობა აქვს სხვადასხვაობას. ხალხი სხვადასხვანაირია და ხელისუფლებას არ უნდა ყველას ერთნაირად მოქექცეს. ასეთ მიდგომაში დიდ როლს თამაშობს მოქალაქეობრივი სიამაყე. მეორე, ხალხი გრძნობს, რომ ცენტრალური ხელისუფლება არც თუ განსაკუთრებულად საჭიროებს მათთან სიახლოვეს, მაშინაც კი, ცენტრალურ ხელისუფლებას ანგარიში რომ გაერთიანებულ მოსახლეობის შეხედულებებისთვის, ეფექტიანი პასუხისმგებლობა მაინც გაუძნელდებოდა.

განვიხილოთ ადგილობრივი ხელისუფლების ორი მნიშვნელოვანი მოდელი. ერთი მათგანი ემხრობა მცირე ადგილობრივი მმართველობების არსებობას და მათ შორის კონკურენციას, ხოლო მეორე - ადგილობრივი მმართველობების გაერთიანებას და შედარებით დიდი ბიუჯეტით უფრო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას.

პირველი არის ტიბოუტის (ტიბოს<sup>8</sup>) მოდელი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვაობაზე. ზოგი უარს არ ამბობს ადგილობრივ დანახარჯზე პროდუქტებისა და მომსახურებისათვის და მზად არის, გადაიხადოს ადგილობრივი მაღალი გადასახადები; ზოგს უნდა უფრო დაბალი ადგილობრივი გადასახადის გადახდა, ეს ნიშნავს დაბალ საზოგადოებრივ მომსახურებას. ყველა მთავრობა რომ ერთნაირი იყოს, უკმაყოფილო არავინ აღმოჩნდებოდა ამ დათმობით (ტიბოუტის მოდელს ზოგჯერ „უხილავ ფეხს“ უწოდებენ) და ხალხი მოგროვდებოდა ერთ ადგილზე მათთვის სასურველი ხარჯების და გადასახდების პაკეტის უზრუნველსაყოფად. „უხილავი ფეხი“ კონკურენციის მეშვეობით ახორციელებს რესურსების ეფექტიან განთავსებას ადგილობრივ ხელისუფალთა შორის.

პრაქტიკულად „უხილავი ფეხი“ ზოგჯერ სტიმულირების ძალიან არასრულყოფილი სტრუქტურაა. ჯერ ერთი, ძნელია ადგილობრივ ადმინისტრაციებს შორის მანიპულირება. მაგალითად, თუ დაბადებული ხართ იმ ახლომახლო რაიონში, შეიძლება უფლება მოგეცეთ, უპირატესი ადგილი დაიჭიროთ ბინის მიღების რიგში, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს. მეორეც, თუ ადგილობრივი ადმინისტრაციის შემოსავლის დიდი ნილი მოდის ცენტრალური ხელისუფლებიდან, ხარჯები და გადასახადების დონე ადგილობრივი მოსახლეობის სურვილისადმი შეიძლება ნაკლებადმგრძნობიარე გამოდგეს.

<sup>8</sup> ზოგიერთ სახელმძღვანელოში შეგხვდებათ ტობოს მოდელის სახელწოდებით (შემდგენელი).

ამ თავში ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება ეფექტიანობასა და სამართლიანობას შორის განსხვავებაზე თუ „უხილავ ფეხს“ მივყავართ ეფექტიანობამდე, მას შეუძლია უსამართლობამდეც მიგვიყვანოს. მდიდრები უკვე თავს იყრიან გარეუბნებში, შემდეგ იღებენ ზონალურ კანონს და ისაკუთრებენ სახლისათვის და ბალისათვის მიწის გარკვეულ ოდენობას. ლარიბებს უკვე აღარ შეუძლიათ გადავიდნენ იმ რეგიონში. ქმნიან რა ჩაკეტილ კლუბებს, მდიდრები გარანტირებული არიან, რომ მათი გადასახდები არ მოხმარდება ლარიბების შენახვას. ლარიბები შფოთავენ ქალაქში, რომლის ხელისუფლებაც აწყდება მათ უდიდეს საზოგადოებრივ მოთხოვნას, მაგრამ მის აღსრულებას უმცირესი ადგილობრივი საგადასახადო ბაზა აქვს.

**ტიბოუტის (ტიბოს) მოდელი** უშვებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარს მხოლოდ ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილ საზოგადოებრივ მომსახურებას, მაგრამ როცა ამ ხელისუფლების თითოეული ერთეული პასუხისმგებელია მცირე გეოგრაფიულ გარემოზე. ეს შეიძლება მიუღებელიც იყოს, თუ შიდა ქალაქში ეწყობა ხელოვნების უფასო გალერეა. რომელიც დაფინანსებულია იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადასახადებიდან, მდიდრები შემოდიან გარეუბნიდან გამოფენის დასათვალიერებლად და პირიქით, შიდაქალაქის შეძლებული მოსახლეობა დასვენების დღეს გადის სოფლად და იყენებს იქაურ საშუალებებს, რომელსაც უზრუნველყოფს ქალაქიდან ამოღებული გადასახადები, ამ შემთხვევებში ერთ ადგილზე საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფა იძლევა სასარგებლო გარე ეფექტს მიმდებარე რეგიონში. ეკონომიკური თეორია იძლევა ამ პრობლემის სწორ პასუხს. სანამ გარე ეფექტი შეფასდება (ზარჯების დარიცხვა ხდება გარეუბნის მომხმარებელზე და არა ქალაქის მოსახლეობაზე ხელისუფლებისაგან დაფინანსებულ გალერეებსა და ოპერის თეატრებში შესასვლელად), ყველაზე გონივრული გადაწყვეტა არის თითოეული ადგილობრივი ხელისუფლების გეოგრაფიული არეალის გაფართოვება, ვიდრე ის არ მოიცავს იმ ხალხის უმრავლესობას, ვინც იყენებს მის მიერ უზრუნველყოფილ საზოგადოებრივ მომსახურებას. ამგვარად, შეიძლება სწორი იყოს, რომ გარეუბნის მოსახლეობას ჰქონდეს ერთიანი სარკინიგზო სამსახური და მეტრო, რომელსაც დააფინანსებს მთავრობა, რათა დაიცვან ხალხი გადატვირთულ ქუჩებში გადაადგილებისაგან. მაგრამ მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც ფლობს გარეუბანსაც და შიდა ქალაქსაც, შეუძლია შეეცადოს ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

ადგილობრივი ხელისუფლების ეს ორი თეორია სხვადასხვა მიმართულებისაა და სწორი პასუხი მათ შორის ძევს. **ტიბოუტის (ტიბოს) მოდელის** მოსაზრებები ხელს უწყობს ბევრი მცირე ადგილობრივი ხელისუფლის ცალ-ცალკე იურისდიქციას (არსებობას) რათა მოხდეს არეალებს შორის არჩევანის და კონკურენციის მაქსიმიზაცია.

**მოდელი**, რომელიც ხაზს უსვამს გეოგრაფიული არეალების გარშემო გარე ეფექტებს, გულისხმობს უფრო ფართო იურისდიქციას (მცირე მმართველობების გაერთიანებას), რათა მოხდეს იმ გარე ეფექტების გარკვეულნილად დაძლევა, რომელიც მიმდინარეობს ქვეყნის ეფექტიანი მოდელის შემთხვევაში. ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ქვეყნისთვის ეფექტიანი მოდელის ძიება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით **გადასახადი** არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე (მუხლი 6).

გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

**საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია** ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**ადგილობრივი გადასახადია** ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

**საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:**

- ა) საშემოსავლო გადასახადი – 20%; დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი  
 ბ) მოგების გადასახადი – 15%;  
 გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – 18%;  
 დ) აქციზი – განაკვეთი მერყევია;  
 ე) იმპორტის გადასახადი (საბაზო გადასახადი) - 0%, 5% ან 12%;  
 - ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი - ქონების თვითღირებულების 1%.  
 (ქონების 40000 ლარი წლიური შემოსავლის ზევით).

#### ძირითადი ფირმინები:

პროგრესული საგადასახადო სისტემა  
 პროპორციული საგადასახადო სისტემა  
 რეგრესული საგადასახადო სისტემა  
 საშემოსავლო გადასახადი

ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტი  
 ტრანსფერტული გადასახდელები  
 ლაფერის მრუდი  
 ტიბოუტის მოდელი და „უხილავი ფეხი“

#### შეპითხებები გამორჩებისთვის:

1. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ პროგრესული და პროპორციული საგადასახადო სისტემები;
2. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ წმინდა საზოგადოებრივი პროდუქტი;
3. განიხილეთ დაბეგვრის პრინციპები;
4. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ ხელფასზე გადასახადის დაწესების შედეგები;
5. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ გადასახადების გავლენა არაელასტიკური მიწოდების ფაქტორზე;
6. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ ლაფერის მრუდი;
7. ისაუბრეთ ტიბოუტის (ტიბოს) მოდელისა და „უხილავი ფეხის“ შესახებ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკა – დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორნბუში, თარგმანი ინგ., თბ., 1999, გვ. 231-241.
2. ეკონომიკა - ს. ფიშერი, რ. დორნბუში, შ. შმალენზი, ტ. II, თარგმანი ინგლ., თბ., 1997, გვ. 470-514.
3. Economics, Begg D., Fisher S., Dornbusch R., Third Edition, McGRAW-HILL BOOK COMPANY, UK, 1991, p. 281-298.
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
5. [http://en.wikipedia.org/wiki/Income\\_tax\\_in\\_European\\_countries#France](http://en.wikipedia.org/wiki/Income_tax_in_European_countries#France)